საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №323

1996 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

მეფრინველეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში სანაშენე და სამრეწველო მეფრინველეობის ფაბრიკის კრიზისიდან გამოყვანისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წინადადება შეთანხმებული ფინანსთა სამინისტროსთან, იუსტიციის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროსთან და ჩამოეწეროთ საქართველოს მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის საწარმოებს 1996 წლის 1 მარტის მდგომარეობით მათზე რიცხული ბუნებრივი აირის, ელექტრ ოენერგიის, წყლის, კომბინირებული საკვების დავალიანებები და მიეკუთვნოს ისინი სახელმწიფო შიდა ვალს დანართის თანახმად.

2. მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის საწარმოების აქციონირებისას (პრივატიზებისას) პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო შიდა ვალს მიკუთვნებული სახსრების დაფარვა.

3. აღნიშნულმა საწარმოებმა დასახონ და განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებანი კრიზისის დაძლევის და საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური დატვირთვის უზრუნველსაყოფად.

4. წინუბნის მეფრინველეობის ფაბრიკას 1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული ბიუჯეტის დავალიანება 40,6 ათასი ლარი გადაევადოს 1997 წლის 1 ივლისამდე.

5. მიღებული იქნეს ცნობად მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტის ა. წულაიას განცხადება, რომ საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში 1996 წლის მეორე ნახევარში დამატებით შეტანილ იქნება 4 მლნ ლარი.

ე. შევარდნაძე

დანართი

1996 წლის 1 მარტის მდგომარეობის მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის საწარმოებზე რიცხული ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, წყლის, კომბინირებული საკვების დავალიანებანი, რომლებიც ექვემდებარებიან ჩამოწერას და შიდა ვალზე მიკუთვნებას

(ლარი)

მეფრინველეობის ფაბრიკების დასახელება	დავალიანება 1996 წ. 1 მარტის მდგომარებით – სულ	კომბინირებული საკვები	მათ შორის		
			ელექტროენერგიის	წყლის	ბუნებრივი აირის
1. წინუბნის მეფრინველეობის ფაბრიკა	82093	73363	7600	1130	
2. საცდელი ბაზა	200651	59387	90872	32194	18198
3. თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა	230621	174618	55973	–	–
4. თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკა	169312	18500	15292	124360	11160
5. გამარჯვების კომბინირებული საკვების ქარხანა	21575	21575	–	–	–
6. კოდის მეფრინველეპბის	20827	18471	2356	–	–

ფაბრიკა					
7. თერჯოლის მეფრინველეობის ფაბრიკა	51227	46227	5000	–	–
8. ნოსირის მეფრინველეობის ფაბრიკა	14431	14431	–	–	–
9. ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა	14673	1200	13473	–	–
10. გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკა	183258	14252	105717	63289	–
ს უ ლ:	988668	442054	296283	220973	29358